სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

KA080145256584518

საქართველო, ქ. თბილისი 0113, რიჩარდ ჰოლბრუკის ქ. №8 / 8 Richard Holbrooke str., Tbilisi 0113, Georgia
www.procurement.gov.ge info@procurement.gov.ge +995 32 2 242 248

№ 4200

10 / დეკემბერი / 2018 წ.

სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო
მაცნეს“

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით ანგარიშს:

2017 წლის 10 დეკემბრიდან 2018 წლის 10 დეკემბრამდე სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში“ (შემდგომში–სააგენტო) დადგენილ ვადაში პასუხი გაეცა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიზნით წარმოდგენილ 50 განცხადებას. ამასთან, არ დაფიქსირებულა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა. ინფორმაციის გაცემაზე მოთხოვნა დასაზუსტებლად დაუბრუნდა განცხადების ავტორს ექვს შემთხვევაში, ვინაიდან არ იყო წარმოდგენილი კანონით დადგენილი წესის დაცვით. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ორი განცხადება. ერთ შემთხვევაში ინფორმაცია არ გადაეცა კონფიდენციალურობის გამო და განემარტა ამ ინფორმაციის მიღების წესი.

სააგენტოში საჯარო ინფორმაციის გაცემისას პერსონალური მონაცემები გროვდებოდა, მუშავდებოდა, ინახებოდა და გაიცემოდა კანონით დადგენილი წესით.

სააგენტოს მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

საჯარო ინფორმაციის გაცემისას სააგენტო ხელმძღვანელობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონითა და„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით.

პატივისცემით,

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე